დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

დეკემბერი, 2022

საქართველოს ელჩის შეხვედრა დიასპორის წარმომადგენლებთან ქ. იზმირში

1 დეკემბერს, ქ. იზმირში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ჯანჯღავამ, შეხვედრა გამართა ქემალფაშას რაიონში მოქმედი ქართული მეგობრობის ასოციაციის ხელმძღვანელთან, ილქერ ილდიზთან (პაპუაშვილი) და ასოციაციის მმართველთა საბჭოს წევრებთან.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ელჩი, ქართული ენის შემსწავლელი კურსის ღია გაკვეთილს დაესწრო და მონაწილეობა მიიღო კურსდამთავრებულთათვის ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატების გადაცემის საზეიმო ცერემონიაში. საქართველოს ელჩმა ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

მან ისაუბრა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში ქართული დიასპორისა და სახალხო დიპლომატიის მნიშვნელოვან როლზე. გიორგი ჯანჯღავამ თურქულ მხარეს მადლობა გადაუხადა ქ. იზმირის ქემალფაშას რაიონში არსებული ქართული დიასპორული ასოციაციის მხარდაჭერისა და მისი საქმიანობის ხელშეწყობისათვის.

„ახალგაზრდა ელჩის“ შეხვედრა მაასტრიხის უნივერსიტეტის სტუდენტებთან

2 დეკემბერს, ნიდერლანდების სამეფოში, მაასტრიხტის უნივერსიტეტში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, თამარ მნათობიშვილის ორგანიზებით უნივერსიტეტის სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტებისთვის საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

თამარ მნათობიშვილის მიერ წარმოდგენილი ვრცელი პრეზენტაციის დახმარებით დამსწრე საზოგადოებამ შეძლო ვირტუალურად ემოგზაურა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პრეზენტაციის ბოლოს ჩატარებულმა სახალისო შეჯიბრმა, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სტუდენტებს მისცა შესაძლებლობა გამოევლინათ საკუთარი ცოდნა საქართველოს შესახებ.

„ახალგაზრდა ელჩის“ შეხვედრა ტარტუს რაატუსეს სკოლის მოსწავლეებთან

2, 6 და 7 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებული ესტონეთის რესპუბლიკაში, გიორგი მჭედლიძე, ტარტუს რაატუსეს სკოლას ესტუმრა და სკოლის მოსწავლეებისთვის საქართველოს შესახებ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართა.
დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა ვირტუალურად აღმოეჩინა საქართველო და ქართული კულტურა. შეხვედრის ფარგლებში, სკოლის კულინარიულ კლუბთან ერთად, ხინკლის მომზადების მასტერკლასი ჩატარდა, სადაც მონაწილეებმა საკუთარი ხელით მოამზადეს ხინკალი.

სპორტული ღონისძიება ქ. ბარსელონაში

3 დეკემბერს, ქ. ბარსელონაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტით გათვალისწინებული ღონისძიება სახელწოდებით „ქართული სპორტი ევროპაში“ გაიმართა.
ღონისძიების ფარგლებში, ქართველ და ესპანელ სპორტსმენებს შორის, სხვადასხვა წონით კატეგორიებში გაიმართა ამხანაგური ორთაბრძოლები - ჯამში სულ 9 ორთაბრძოლა.
მონაწილეებს შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის და წონითი კატეგორიის ესპანეთის ჩემპიონები, მათ შორის დემეტრე გორგოშიძე (სასკოლო ასაკი) და გიორგი გვაზავა (ორგზის ჩემპიონი - კატალონია).
დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ალექსანდრე ჭკუასელმა და ქართული კრივის კლუბ „იბერიას“ ხელმძღვანელებმა ბერდია ლიპარტელიანმა და ირაკლი ქურასბედიანმა.
ღონისძიებას, რომელიც საქართველოს პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით გაიმართა, ესწრებოდა 150-მდე მოწვეული სტუმარი, მათ შორის ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ადგილობრივი და ქართველი, როგორც ვეტერანი ასევე მოქმედი სპორტსმენები.

დარბაზი გაფორმებული იყო ქართული და ესპანური დროშის ფერებით, სადაც ასევე განლაგებული იყო საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები. ტურნირის მსვლელობისას ქ. ბარსელონაში მოქმედმა ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლმა დამსწრე საზოგადოებას წინაშე ქართული ცეკვები წარადგინა. ღონისძიების დასასრულს მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და სამზარეულო.

საქართველო გაეროს ქალთა გილდიის საქველმოქმედო ბაზარზე წარდგა

3 დეკემბერს, ვენაში, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და ქართული დიასპორის წარმომადგენლების მხარდაჭერით, გაეროს ქალთა გილდიის ორგანიზებით, რიგით 53-ე საქველმოქმედო ბაზარი (UNWG International Festival Charity Bazaar) გაიმართა. საქველმოქმედო ბაზარზე სხვა ქვეყნებთან ერთად, წარმოდგენილი იყო საქართველოს სტენდიც.

საქართველომ წლევანდელ საქველმოქმედო ბაზარზე ორი სტენდით მიიღო მონაწილეობა: ერთზე წარმოდგენილი იყო ეროვნული კერძები და ქართული ღვინო, ხოლო მეორეზე - ქართული ხელნაკეთი ნივთები და სუვენირები, ეროვნული წარმოების პროდუქტები, საქართველოს შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო ბროშურები და სხვ.

გაეროს ქალთა გილდიის საერთაშორისო ბაზარი ყოველწლიურად იმართება და მას რამდენიმე ათასობით საერთაშორისო დამთვალიერებელი ჰყავს.

საქველმოქმედო ბაზარზე შემოსული თანხით გაეროს ქალთა გილდია სოციალურად დაუცველ ბავშვებთან დაკავშირებულ საქველმოქმედო პროექტებს აფინანსებს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოს საელჩო ქალთა გილდიაში 2010 წელს გაწევრიანდა და მას შემდეგ ყოველ წელს მონაწილეობს საქველმოქმედო პროექტებში.

ქართული სტენდი ქ. ათენის საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაზე

3 და 4 დეკემბერს, ქ. ათენის ყოველწლიურ საქველმოქმედო საშობაო გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო ქართული სტენდი და კულტურული პროგრამა.

ათენის ქართულმა დიასპორამ, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით, გამოფენაზე წარმოადგინა ქართული რეწვის ნიმუშები, ხელნაკეთი ნივთები და აქსესუარები, ქართული ღვინო, საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი მასალა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ათენის ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „კავკასია“ და „ივერიელები".

საქველმოქმედო საშობაო ბაზრობაზე, ტრადიციულად, საქართველოს საელჩოსთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ათენში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა და დიასპორულმა ორგანიზაციებმა.

საშობაო ბაზრობის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო ორგანიზაცია „ბავშვის მეგობრები". ღონისძიებიდან შემოსული თანხა გადაირიცხა საქველმოქმედო ფონდში.

წმინდა გრიგოლ ფერაძის მოწამეობრივი აღსასრულიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა პოლონეთში

4-6 დეკემბერს, პოლონეთში წმინდა გრიგოლ ფერაძის მოწამეობრივი აღსასრულიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით სამ დღიანი ღონისძიება გაიმართა, პოლონეთში მოღვაწე ქართული დიასპორის წარმომადგენლების მხარდაჭერით და ხელშეწყობით.

სამ დღიანი ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა შემეცნებითი საღამო, რომელიც ალექსანდრე მესხორაძის ორგანიზებით გაიმართა. იგი წლებია ცხოვრობს და საქმიანობს პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში. საღამოზე დამსწრე საზოგადოებას გააცნეს წმინდანის ბიოგრაფია, მისი დამსახურებები თეოლოგიურ მეცნიერებაში და მოწამეობრივი აღსასრულის ისტორია.

პოლონეთის მართლმადედებელი ეკლესიის მეთაურმა, ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტმა უნეტარესმა მეუფე საბამ, მეუფე ბარსანუფმა, წმ. გრიგოლ ფერაძის ტაძრის წინამძღვარმა ჰენრიხ პაპროცკიმ, პოლონეთის სხვა სასულიერო პირებმა და ქართველმა მოძღვარმა მამა დავით კონჯარიამ გადაიხადეს პანაშვიდი წმ. გრ. ფერაძის სახელზე მისივე სახელობის ტაძარში.

6 დეკემბერს, აუშვიც-ბირკენაუს სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იყოს საკოცენტრაციო ბანაკი ე.წ. „ოსვენციმის საკონცეტრაციო ბანაკი“ გაიმართა კონფერენცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვარშავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური კვლევების კათედრის გამგე, დავით ყოლბაია.

კონფერენციას ესწრებოდნენ პოლონეთის სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს ელჩი

პოლონეთის რესპუბლიკაში, ზურაბ ბერიძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებული, თორნიკე ცირეკიძე და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მიზნით საბერძნეთის რესპუბლიკიდან, ქ. ათენიდან მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „ივერონის“ ხელმძღვანელი ნატალია კაპანაძე და ორგანიზაციის წევრები.

ონლაინ შეხვედრა ათენის ქართულ დიასპორასთან



5 დეკემბერს, ათენის ქართული დიასპორის საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელის, ნანა თევდორაძის ინიციატივით, პროექტის „მოუსმინეთ თქვენი ქალაქის ემიგრანტს“ ფარგლებში, ონლაინ შეხვედრა გაიმართა საქართველოს პარლამენტის დეპუტატთან, ზაზა ლომინაძესთან.

ონლაინ შეხვედრას უმასპინძლა ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრმა „კავკასია“.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს როგორც არსებული სოციალური გამოწვევები, ისე წარმატებული პროექტები და აღნიშნეს, რამდენად მნიშვნელოვანია ქართული დიასპორის წევრებსა და მათ მაჟორიტარ დეპუტატებს შორის პირდაპირი კომუნიკაცია.

ვებინარი სტუდენტებისთვის „ისწავლეთ დანიის სამეფოში“

7 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) თანამშრომლობით, გაიმართა ვებინარი სტუდენტებისთვის „ისწავლეთ დანიის სამეფოში“, რომელიც მიზნად ისახავდა დანიაში სწავლით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ამომწურავი, რელევანტური ინფორმაციის გაზიარებას. ვებინარში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ კონსტანტინიდი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიის სამეფოში, ნათელა მენაბდე და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტის მენეჯერი, ქეთევან გორგოშიძე. ვებინარს უძღვებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის” 2022 წლის გამარჯვებული დანიის სამეფოში გვანცა შაორშაძე.

ვებინარის მსვლელობისას ქართველი სტუდენტები და აბიტურიენტები გაეცნენ მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას, როგორიცაა დანიის სამეფოში სწავლის შესაძლებლობები, წესები და პროცედურები, აპლიკაციები და რეგისტრაცია, სწავლასთან და ბინადრობასთან დაკავშირებული საკითხები, ვიზები, დაზღვევა, გრანტები, დასაქმების შესაძლებლობები და ა. შ.

ქართული კულტურის დღეები ქ. ჰაიდელბერგში

8-10 დეკემბერს, ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალურ მიწაზე, ქ. ჰაიდელბერგში ქართული დიასპორის წარმომადგენლის, ნინო ფუტკარაძის ინიციტივით გაიმართა ქართული კულტურის დღეები.

ღონისძიება მიზნად ისახავდა ქართული კულტურისა და ღვინის შესახებ ცნობადობის ამაღლებასა და საქართველოს პოპულარიზაციას. მოწვეულმა სტუმრებმა ქართულ რესტორან, „ხომლში“ არსებულ საგამოფენო სივრცეში დაათვალიერეს ქართველი მხატვრების ნამუშევრები და გაიცნეს საქართველოდან საგანგებოდ მოწვეული მხატვარი, მაკა ზედელაშვილი. ღონისძიების ფარგლებში სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ მოესმინათ ქართული სიმღერები, დაეგემოვნებინათ ეროვნული კერძები და ღვინო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური კონსული ლევან ღვაჩლიანი, გერმანიის კულტურისა და საგანმანათლებლო წრეების, მასმედიისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საკვირაო სკოლა „ანა-ბანამ” წინასაახალწლო ღონისძიება გამართა ქ. დრეზდენში

9 დეკემბერს, ქ. დრეზდენში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საკვირაო სკოლა „ანა-ბანამ” წინასაახალწლო ღონისძიება გამართა. სკოლის დამფუძნებლის, ირმა ჭანყოშვილის ხელმძღვანელობით საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული სიმღერები და წაიკითხეს ლექსები. ქართული ცეკვის ანსამბლმა „გენი“, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნინო ყარალაშვილი და გიორგი ბლიაძე, საკვირაო სკოლის ბავშვებთან ერთად წარმოადგინა ცეკვა „აჭარული“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. დრეზდენში ქართული დიასპორის წევრები და დრეზდენის მერიიდან მოწვეული სტუმრები.

ქართული ცეკვის გაკვეთილი ქ. ლონდონში

9 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, მარიამ ხოკერაშვილის ორგანიზებით ქართული ცეკვის მასტერკლასი გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა შალვა ქავთარაძე, ჯგუფი “Lileo Dance Group London”-დან. ცეკვის გაკვეთილის შემდეგ ნაჩვენები იყო ქართული ფილი „ფესვები" ინგლისური სუბტიტრებით. ღონისძიების ბოლოს სტუმრებს საშუალება მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო.

საქართველოს ელჩის შეხვედრა ირლანდიის ქართულ დიასპორასთან

9 დეკემბერს, ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ზურაბაშვილმა, საქართველოს საელჩოში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა. საქართველოს ელჩმა თანამემამულეებს გააცნო საქართველოს მთავრობის მიერ

განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები, საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი და სამომავლო გეგმები.

საელჩოს კონსულმა, ნინო შამუგიამ მოსულ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამების - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“, “უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ და „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა” 2023 წლის შესარჩევი კონკურსის შესახებ.

ქართული კულტურის ფესტივალი ქ. თესალონიკში

10 დეკემბერს, ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ორგანიზებით, საბერძნეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით ქართული კულტურის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილება მიიღეს ქ. ათენში ბერძნულ-ქართულმა კულტურულმა ასოციაციამ და მასთან არსებულმა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „ივერიელები“. ანსამბლის წევრებმა მაყურებლის წინაშე წარადგინეს სხვადასხვა ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომრები.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ნოდარ კომახიძემ. გენერალურმა კონსულმა აღნიშნა, რომ ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ხელმძღვანელობა,

ანსამბლ „ივერილების“ ქორეოგრაფები და პედაგოგები თავისი დაუღალავი შრომით ემსახურებიან ძალიან მნიშვნელოვან საქმეს - ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები, საკვირაო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები და ქ. თესალონიკში მოქმედი ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლების წარმომადგენლები.

ნიუ-იორკში ქართული საშობაო გალა კონცერტი ჩატარდა

11 დეკემბერს, ნიუ-იორკში, მერკინ ჰოლის საკონცერტო დარბაზში, კულტურული და საგანმანათლებლო ფონდის ხელმძღვანელის, ბექა გოგინაშვილის ორგანიზებით ქართული საშობაო გალა კონცერტი გაიმართა, რომელშიც ქართველ ხელოვანთა გვერდით უცხოელი სტუმრებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის ოპერის სახელოვანი მომღერალი გიორგი ონიანი და იტალიიდან სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეული მაესტრო ალესანდრო ბენინი.

კონცერტში, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორკში ქართული კულტურის ცენტრ „ფესვებთან“ არსებულმა გოგონათა ხალხური სიმღერის გუნდმა.

შემოქმედებითი საღამო ქ. დუბლინში

11 დეკემბერს, ქ. დუბლინში, ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ირლანდიაში მოღვაწე ქართველი პოეტების, გიული ჩქარეულის, თამარა სამქანას და ფიქრია ბაფხოშვილის შემოქმედებითი საღამო სახელწოდებით „ჩემი ცის და მიწის სითბო შორეთს გამომყოლია“ გაიმართა.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს სიტყვით მიმართა ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ზურაბაშვილმა. მან ისაუბრა კულტურული ღონისძიებების მნიშვნელობაზე და დიასპორის გაძლიერებაზე.

ანსამბლ „ივერიონის“ საიუბილეო კონცერტი ტორონტოში

11 დეკემბერს, ტორონტოში გაიმართა ტორონტოს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან არსებული ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ივერიონის“ საიუბილეო კონცერტი. ანსამბლის დაარსებიდან 5 წლის იუბილე აღნიშნეს. ანსამბლის წევრებმა მაყურებლის წინაშე სხვადასხვა ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომერი წარადგინეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კანადაში კახა იმნაძე, საელჩოს უფროსი მრჩეველი გიორგი მესხელი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

კონცერტამდე საელჩოს წარმომადგენლებმა მოინახულეს აღნიშნული ეკლესია და დაესწრნენ ლიტურგიას. ტორონტოს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი არის პირველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც, ადგილობრივი დიასპორის მიერ გაღებული სახსრებით, ტორონტოს მახლობლადაა შეძენილი. მისი კურთხევა ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის მღვდელმთავრის, ეპისკოპოს საბა ინწკირველის და კანადის სერბული ეკლესიის მეუფის, მიტროფანეს მონაწილეობით 2022 წლის 30 აპრილს გაიმართა.



სალექციო კურსი „საქართველო ცივილიზაციათა გზაგასაყარზე“

12 დეკემბერს, ბერნის უნივერსიტეტში, ქართული სწავლების ინტერდისციპლინარული კურსის - „საქართველო ცივილიზაციათა გზაგასაყარზე“ - მე-12 ლექცია გაიმართა, რომელიც მიეძღვნა შუა საუკუნეების საქართველოს მთარგმნელობით ტრადიციას.

ლექციას უძღვებოდა ბერნისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტების დოცენტი, ენათმეცნიერი, დოქტორი მანანა ტოფაძე-გოიმანი. ენათმეცნიერმა სტუდენტებს გააცნო ქართული ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ტრადიცია შუა საუკუნეებში. მან ისაუბრა უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერების შესახებ. ლექციაზე განხილულ იქნა ათონის ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის, საბაწმინდის ქართული სკრიპტორიუმის, ტაო-კლარჯეთის ქართული მწიგნობრული ცენტრის ტრადიციები.

ენათმეცნიერმა ასევე ისაუბრა იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე მთარგმნელებზე და მათ მთარგმნელობით მემკვიდრეობაზე, სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერსა და ათონის მთაზე დაცულ ხელნაწერებზე. სტუდენტები ასევე გაეცნენ გელათისა და იყალთოს აკადემიების მთარგმნელობით ტრადიციებს.

ლექციას დაესწრო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში, რევაზ ლომინაძე.

ინტერდისციპლინარული კურსი გახლავთ შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს, ბერნისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტების ჰუმანიტარული ფაკულტეტების ერთობლივი უნიკალური პროექტი, რომლის ფარგლებშიც ქართველი და უცხოელი პროფესორები კითხულობენ ლექციებს საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ.

ქართული კულტურის საღამო ქ. ტარტუში

12 დეკემბერს, ქალაქ ტარტუში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, გიორგი მჭედლიძის და ქართული დიასპორული ორგანიზაციების - „ქართული სახლი ესტონეთში“ და „ქართული გენი“ ჩართულობითა და ორგანიზებით ქართული კულტურის საღამო გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული ცეკვები, ქართული ტრადიციული სამოსი - ჩოხა, ქართული რაგბის სიმბოლოები. ნაჩვენები იყო შემეცნებითი ტიპის ვიდეორგოლები ქართული კულტურის და ქართული სამზარეულოს შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ესტონელი სტუმრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქართული მუსიკისა და ღვინის საღამო კოპენჰაგენში

13 დეკემბერს, ქ. კოპენჰაგენში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულმა, გვანცა შაორშაძემ, ღვინის ბარ Den Vandrette-სთან თანამშრომლობით, „ქართული მუსიკა და ღვინო“ საღამო გამართა.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ქართული კულტურისა და ღვინის შესახებ ცნობიერების ამაღლება და საქართველოს პოპულარიზაცია.

საღამო მისულ სტუმრებს თავისი რეპერტუარი შესთავაზა მამუკა ცერცვაძემ, რომელმაც გიტარის თანხლებით ქართული სიმღერები შეასრულა.

ანსამბლ „ფესვების“ პირველი კონცერტი ქ. ბათ-იამიში

13 დეკემბერს, ისრაელის ქალაქ ბათ-იამის ბავშვთა კულტურის ცენტრში, საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით დაარსებულმა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „ფესვები“ თავისი პირველი წარმოდგენა გამართა.

ანსამბლი ისრაელში მცხოვრებმა ქართველმა წყვილმა, ანსამბლ „ერისიონის“ ყოფილმა მოცეკვავეებმა მიხეილ ბარამაშვილმა და ნინო გულიკაშვილმა დააარსეს.

ანსამბლი აქტიურადაა ჩართული ისრაელში ქართული დიასპორის კულტურულ ცხოვრებაში და ისრაელში ქართული ხალხური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეს ემსახურება.

ვებინარი „ქალები კიბერუსაფრთხოების სფეროში“

14 დეკემბერს, დანიის სამეფოში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, გვანცა შაორშაძის ინიციატივითა და ორგანიზებით ვებინარი „ქალები კიბერუსაფრთხოების სფეროში“ გაიმართა.

ვებინარის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა ქართველი ქალების გაძლიერებასა და ქვეყნებს შორის პროფესიული თვალსაზრისით გამოცდილების გაზიარებაზე. მომხსენებელმა, ბიანკა ბუზნეანმა, ისაუბრა კიბერუსაფრთხოების სხვადასხვა მიმართულებებზე, კარიერულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე.

ვებინარის ბოლოს დამსწრეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაესვათ შეკითხვები და მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საქართველოს ელჩის შეხვედრა ქართულ დიასპორასთან ბუენოს-აირესში

14 დეკემბერს, არგენტინის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ინიციატივით, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა არგენტინის რესპუბლიკაში, გვარამ ხანდამიშვილმა ტრადიციული, წინასაახალწლო შეხვედრა გამართა არგენტინაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე საქართველოს ელჩმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტუმრებს და მადლობა გადაუხადა მათ არგენტინაში საქართველოს ღირსეულად წარმოჩენისათვის. საქართველოს ელჩმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით დასაფასებელია, რომ დიასპორა, რომლის წევრებიც სხვადასხვა თაობას მიეკუთვნებიან, საქართველოსაგან გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, დღემდე მტკიცედ ინარჩუნებს იდენტობას და სამშობლოსთან კავშირს. შეხვედრაზე ისაუბრეს ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

საჯარო ლექცია ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

16 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, გიორგი მჭედლიძის ინიციატივითა და ორგანიზებით ტარტუს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გაიმართა საჯარო ლექცია საქართველოს შესახებ.

საჯარო ლექცია საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივებსა და საგარეო პოლიტიკას მიეძღვნა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესტონეთის რესპუბლიკაში არჩილ ყარაულაშვილი, მოდელირებას კი უწევდა ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი სტეფანო ბრაგიროლი.

ისრაელის ქართულმა დიასპორამ ბარბარობის დღესასწაული აღნიშნა

16 დეკემბერს, ბარბარობის დღესასწაულზე, ისრაელში საქართველოს საელჩომ და ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა, სოფელ აბუდში ადგილობრივ არაბ ქრისტიანებთან ერთად წმინდა ბარბარეს ხსენების პროცესიაში მიიღო მონაწილეობა.

მსვლელობის შემდეგ, არაბ ქრისტიანთა თემის მიერ გამართულ ღონისძიებაზე მიწვეულმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა, ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ახლადდაარსებული ანსამბლის „ფესვები“ ხელმძღვანელებმა, მიხეილ ბარამაშვილმა და ნინო გულიკაშვილმა და ანსამბლის წევრებმა ქართული ცეკვები და ხალხური სიმღერები შეასრულეს.

რუსლან აბაშიძე ესპანეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

16 დეკემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რუსლან აბაშიძე და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრი, ნანა გაბელია მადრიდის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა პროგრამის „დიასპორა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერა“ ფარგლებში, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

შეხვედრაზე მთავარი აქცენტი გაკეთდა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობაზე, დიასპორისა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებსა და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე.

შეხვედრას ესწრებოდა ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ილია გიორგაძე.

ღონისძიების ბოლოს, მადრიდში მცხოვრები დევნილი ემიგრანტებისთვის, მოეწყო ემიგრაციაში მოღვაწე დიდი ქართველი დიპლომატისა და ხელოვანის გიორგი აფხაზის ნამუშევრების ვირტუალური გამოფენა.

პროექტ „შინ"-ის პრეზენტაცია ქ. ჰორთონში

17 დეკემბერს, ნიუ-ჯერსის შტატში, ქ. ჰორთონში, ქართული საკვირაო სკოლის "მაკას სკოლა" ხელმძღვანელის, მაკა ქობალიას ორგანიზებით, "Louis Bay 2nd" ბიბლიოთეკაში გაიმართა პროექტ „შინ"-ის პრეზენტაცია. პროექტის ფარგლებში, ნიუ ჯერსის 77 ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იქნება წიგნები ქართულ ენაზე - როგორც ქართველი ავტორების, ასევე ქართულ ენაზე თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურა.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართველი მწერლის, დათო ტურაშვილის შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მან ისაუბრა ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე.

პროექტის „შინ" ფარგლებში, მომავალში დაგეგმილია ქართველ მწერლებთან შეხვედრა, კინოფესტივალების გამართვა, სადაც ნაჩვენები იქნება როგორც მხატვრული, ასევე დოკუმენტური ფილმები, მოეწყობა ლიტერატურული საღამოები, სპექტაკლები.

პროექტის „შინ" მთავარი მიზანია შეიქმნას ისეთი სივრცე, სადაც ემიგრანტები იგრძნობენ თავს შინ.

მიუზიკლ „კურკას ქორწილის" პრემიერა ქ. თესალონიკში

17 დეკემბერს, ქ. თესალონიკში, თეატრში „ანეტონი", საბერძნეთში საქართველოს გენერალური საკონსულოს ხელშეწყობით, თესალონიკის ქართული თეატრალური დასისა და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მამულის" ერთობლივი მიუზიკლის - „კურკას ქორწილის" პრემიერა გაიმართა.

სპექტაკლს ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე, ქართველი ემიგრანტები, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

სპექტაკლი გაიმართა ქართული კულტურის ფესტივალის ფარგლებში, რომელიც საბერძნეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით იმართება.

საახალწლო ზეიმი ქ. თელ-ავივში

17 დეკემბერს, ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, თელ-ავივის ძველი იაფოს წმინდა გიორგის ტაძარში, საშობაოდ მორთულ ეზოში, ქართული დიასპორის ბავშვებისთვის საახალწლო ზეიმი გაიმართა.

საზეიმო კონცერტზე ქ. ლოდის ქართული საკვირაო სკოლა „მამულის“ აღსაზრდელებმა წაიკითხეს ქართული ლექსები, ახლადდაარსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ფესვები“ ნორჩმა მოცეკვავეებმა ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები შეასრულეს. თოვლის ბაბუამ, ფიფქიასთან და ჯუჯებთან ერთად, ტაძრის მთავარი საშობაო ნაძვის ხე აანთო და პატარებს საახალწლო საჩუქრები დაურიგა.

ღონისძიების წამყვანი იყო ორგანიზაციის „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“ ხელძღვანელი, მარინა გელაშვილი.

საახალწლო კონცერტი ნიდერლანდებში

17 დეკემბერს, ქ. ამერსფორტში, ნიუვეკერკის ტაძარში, ქართველი დირიჟორის, ქეთევან წიკლაურის ხელმძღვანელობით, ნიდერლანდების სამეფოში მოქმედი ფოლკლორული ანსამბლის „საქართველო“ და კვარტეტის „ქართული ანსამბლი“ საახალწლო კონცერტი გაიმართა.

ნიდერლანდელმა მუსიკოსებმა, საგუნდო და ინსტრუმენტალური ორკესტრირებით, მსმენელს განახლებული რეპერტუარი წარუდგინეს, სადაც მრავლად იყო როგორც ქართული ხალხური პოლიფონიის შედევრები, ასევე ქართველი კომპოზიტორების საავტორო კომპოზიციები.

რეპერტუარის შედგენისას აქცენტი გაკეთდა საქართველოს ყველა მხარის მუსიკალური ტრადიციების წარმოჩენაზე, რათა უკეთ ყოფილიყო შესამჩნევი ის მრავალფეროვნება, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ახასიათებს. ანსამბლებმა შეასრულეს: სვანური „მირანგულა“, მეგრული „აშო ჩელა“, რაჭული „ლალე“, აფხაზური „ვარადო“, კახური „მრავალჟამიერი“, ჯავახური „მუმლი მუხასაო“ და სხვ.

კონცერტს, ადგილობრივ მსმენელთან ერთად ესწრებოდნენ ნიდერლანდებში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები.

საქართველოს ელჩის ვიზიტი ქ. ბერნის საკვირაო სკოლაში

17 დეკემბერს, შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, რევაზ ლომინაძე, საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, ქ. ბერნში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლას ეწვია. მან პატარებს მიულოცა ბარბარობის დღესასწაული, დამდეგი შობა-ახალი წელი და სასწავლო სემესტრის წარმატებით დასრულება.

ქართული საკვირაო სკოლა ქ. ბერნში 2021 წლის მაისში დაფუძნდა და მას შემდეგ, დღემდე, წარმატებით ფუნქციონირებს.

შეხვედრა ქართულ დიასპორასთან ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში

18 დეკემბერს, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში გაიმართა შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.
შეხვედრისას ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საქმეთა დროებით რწმუნებულმა, მიხეილ თიგიშვილმა თანამემამულეებს გააცნო ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამების - „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ და „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა” 2023 წლის შესარჩევი კონკურსის შესახებ.
შეხვედრას ესწრებოდნენ დიასპორის 20-მდე წარმომადგენელი, მათ შორის ეგვიპტეში არაბული ენის სასწავლებლად მყოფი ქართველი სტუდენტები.
შეხვედრის ფარგლებში საქართველოს საქმეთა დროებით რწმუნებულმა, ასევე, ისაუბრა 2023 წელს საელჩოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე და ხაზი გაუსვა საელჩოსა და დიასპორის წარმომადგენლებს შორის აქტიური კოორდინაციის მნიშვნელობას.

„დიონისეს“ საშობაო კონცერტი ქ. ათენში

18 დეკემბერს, ქ. ათენში, მოსხატოს კულტურის ცენტრში, ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაცია „დიონისეს'' საშობაო კონცერტი გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში თეატრალური დასის აღსაზრდელებმა და ქ. ათენის ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან არსებულმა ანსამბლმა „ივერიელები'' წარმოადგინეს მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები, ნაწყვეტები სპექტაკლებიდან და მიუზიკლებიდან.
ღონისძიების დასასრულს დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა „დიონისეს'' ხელმძღვანელმა თამარ სამხარაძემ და საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა, დეა მუმლაძემ. მან მადლობა გადაუხადა აღსაზრდელებს და პედაგოგებს წლის განმავლობაში განხორციელებული არაერთი კულტურულ-შემოქმედებითი პროექტისთვის.

„სადარისის“ კონცერტი ქ. სტრასტურგში

18 დეკემბერს, ქ. სტრასბურგში წმიდა ქეთევან წამებულის ტაძართან არსებულმა სიმღერის გუნდმა „სადარისი“ მონაწილეობა მიიღო ორგანიზაცია კარტაზის (Caritas Alsace) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.
საღამოზე მომღერალთა გუნდმა ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა.

ალექსანდრე ბურჯანაძის ნამუშევრების გამოფენა ქ. თესალონიკში



20 დეკემბერს, ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალურ საკონსულოში გაიმართა თესალონიკში მცხოვრები ქართველი მხატვრისა და ხატმწერის ალექსანდრე ბურჯანაძის ნამუშევრების გამოფენა. ალექსანდრე ბურჯანაძემ სტუმრებს წარუდგინა ნამუშევრები და ისაუბრა თავისი შემოქმედების შესახებ. ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ნოდარ კომახიძემ, ალექსანდრე ბურჯანაძეს მადლობა გადაუხადა ქართული კულტურის ფესტივალში მონაწილეობისათვის. ფესტივალი საბერძნეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა.

ხელნაკეთი სათამაშოების გამოფენა ქ. თესალონიკში

22 დეკემბერს, ქ. თესალონიკში, საქართველოს გენერალურ საკონსულოში, ქართველი ემიგრანტის, ორგანიზაცია ,,ქართველ ემიგრანტთა მსოფლიო ლიგის" წევრის, ნანული შანშიაშვილის ხელნაკეთი სათამაშოების გამოფენა გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ნოდარ კომახიძემ ნანული შანშიაშვილს მადლობა გადაუხადა ქართული კულტურის ფესტივალში მონაწილეობისთვის, რომელიც საბერძნეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა.

ანსამბლ „ნერგების“ საახალწლო ზეიმი სტოკჰოლმში

22 დეკემბერს, ქ. სტოკჰოლმში, შვედეთში ილია ჭავჭავაძის სახელობის სათვისტომოსთან არსებულმა ბავშვთა და მოზარდთა სიმღერისა და ცეკვის სტუდიამ „ნერგები“ საახალწლო ზეიმი გამართა. ღონისძიებაზე სტუდიის აღსაზრდელებმა შეასრულეს ქართული სიმღერები და ცეკვები, წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“ მცირე ზომის თეატრალიზებული ნაწყვეტები.

ღონისძიებას ესწრებოდა შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ირაკლი ხუცურაული. საქართველოს ელჩმა ბავშვებს დამდეგი 2023 წელი და შობის დღესასწაული მიულოცა.

„ახალგაზრდა ელჩის“ შეხვედრა პოლონელ სტუდენტებთან

23 დეკემბერს, ქ. ვარშავაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებული, თორნიკე ცირეკიძე პოლონელ სტუდენტებსა და უცხოელ სტუმრებს შეხვდა. შეხვედრა გაიმართა სრულიად პოლონეთისა და ვარშავის საპატრიარქოსთან არსებულ მართლმადიდებლური კულტურის ცენტრში მამა ლუკაშის ორგანიზატორობით. თორნიკე ცირეკიძემ აუდიტორიას გააცნო ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ისტორია. მან ისაუბრა ქართველ წმინდანებზე, საეკლესიო დღესასწაულებზე საქართველოში, საქართველოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის უდიდეს ღვაწლზე და დამსახურებაზე, ქართული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის საუკუნეობრივი ერთობის მნიშვნელობაზე. შეხვედრა გაიმართა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წლისთავთან დაკავშირებით.

საკვირაო სკოლა „ფესვების“ საახალწლო კარნავალი ქ. რენეში

25 დეკემბერს, ქ. რენეში ასოციაციასთან ,,მსოფლიოს ხალხები'' არსებულმა ქართული საკვირაო სკოლა „ფესვების“ მოსწავლეებმა საახალწლო კარნავალი გამართეს.
სკოლის აღსაზრდელებმა ქართული ლხინის თეატრალიზებული სცენა წარადგინეს. ღონისძიების მსვლელობისას თავად მოამზადეს ქართული კერძები - ხინკალი, ხაჭაპური, გოზინაყი, ლობიანი, თათარა, ნამცხვრები და ა.შ. და დამსწრე საზოგადოებას უხსნიდნენ მომზადების წესებს.
ზეიმის მონაწილეებმა შეასრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები, წაიკითხეს ქართული ლექსები. დასასრულს საახალწლო ნაძვის ხესთან პატარებს თოვლის ბაბუამ დაურიგა საჩუქრები.

ქართული საკვირაო სკოლის საშობაო ზეიმი ქ. ფლორენციაში

25 დეკემბერს, ქ. ფლორენციაში წმინდა ნინოს სამრევლოსთან არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ საშობაო ზეიმი გამართა. ღონისძიებაზე სკოლის აღსაზრდელებმა შეასრულეს ქართული სიმღერები, წაიკითხეს ლექსები და ასევე, დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან და შეასრულეს საშობაო სიმღერა „ალილო“.

ქ. დრეზდენის ორგანიზაციამ „ქართველები გერმანიაში“ წლის დამამთავრებელი ღონისძიება გამართა

29 დეკემბერს, ქ. დრეზდენში, დიასპორულმა ორგანიზაციამ „ქართველები გერმანიაში“ წლის დამამთავრებელი ღონისძიება ჩაატარა.
წლის განმავლობაში დიასპორულ საქმიანობაში გაწეული აქტივობების მიხედვით, შეირჩენ საუკეთესო მოხალისეები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში. ღონისძიებაზე ორგანიზაციის დირექტორთა საბჭომ და თავმჯდომარემ, ირმა ჭანყოშვილმა დრეზდენის ქართული დიასპორის საპატიო მოხალისეების საპატიო სიგელები გადასცეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ

დრეზდენის მეცნიერებათა უნივერსიტეტის სატრანსპორტო საშუალებების ტექნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის (FiF) დირექტორი, პროფესორი გენადი წიკორიძე, ქ. ქემნიცის საქართველო-გერმანიის თანამშრომლობის მეგობართა და მხარდამჭერთა ასოციაცია "საქართველოს" დირექტორთა საბჭოს წევრი, თამარ ხეცაძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.
ღონისძიებაზე საზოგადოებას გააცნეს ქართული დიასპორის მიმდინარე და მომავალი პროექტები, აგრეთვე გაიმართა დისკუსიები დამსწრე და ადგილობრივ საზოგადოებას შორის.

ქართული დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება 2022

30 დეკემბერს, ქ. თბილისში, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტის - „დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება 2022“ ფარგლებში, დიასპორის წარმომადგენელთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ცერემონიას საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

წელს გამარჯვებულები რამდენიმე ნომინაციაში გამოვლინდნენ. ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო გადაეცა იტალიაში მოღვაწე ოპერის მომღერალს, ნინო მაჩიაძეს. მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი ზურაბ გუგუჩია.

სახალხო დიპლომატიაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო გადაეცა საფრანგეთის რესპუბლიკაში მოღვაწე კინორეჟისორს, პროდიუსერს და მწერალს, თემურ ბაბლუანს. ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ ესპანეთის სამეფოში მოღვაწე ბიზნესმენი, სულხან იდოიძე და პორტუგალიაში ბიზნესის სფეროში დასაქმებული, სალომე გორგილაძე; წლის წარმატებული სპორტსმენი გახდა ესპანეთის ლა ლიგის კლუბ „ვალენსიას“ ქართველი მეკარე, გიორგი მამარდაშვილი; სპეციალური პრიზი კი გადაეცა პოლონეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანს, რეჟისორს, კონსტანტინე ციციშვილს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნომინაცია „საქართველოს უცხოელი მეგობარი“, რომელშიც ირლანდიისა და იაპონიის წარმომადგენლებმა - კინგლსი თომას აიკინსმა და ტაკეჰიდე ჰარადამ გაიმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების მიზანია გამოავლინოს და წარმოაჩინოს საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, რომლებმაც ადგილსამყოფელ ქვეყანაში მიაღწიეს პროფესიულ წარმატებას და ამასთან, წვლილი შეიტანეს საქართველოს განვითარებასა და ჩვენი ქვეყნის პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაციაში.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ: თბილისის ოპერისა და ბალეტის კამერეტა, ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლები - „საქართველო“ (ნიდერლანდების სამეფო), „თამარიონნი“ (პარიზი), „კავკასია“ (ათენი), ბავშვთა ანსამბლი „ვაზი“ და მგალობელთა გუნდი „ჯორჯიან ფოლკსი“ (ბარსელონა), „ჩვენ დავბრუნდებით“ (ანტვერპენი) და ფოლკლორული საბავშვო ანსამბლი „პატრიარქის ნათლულები“ (საქართველო).

გამარჯვებულ ნომინანტებს გადაეცათ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შეგროვებული და გადარჩენილი საგანძურის ერთ-ერთი ექსპონატის - ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის და საქართველოს მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშის, მოოქროვილი ფირფიტის ასლი.

ღვინის ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი ესპანეთში

3-13 ნოემბერს, ქ. ვილაფრანკა დელ პენედესში (კატალონიის ავტონომიური რეგიონი) გაიმართა რიგით 11-ე ღვინის ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც საქართველო მიწვეულ იქნა სტუმარი ქვეყნის საპატიო სტატუსით. აღნიშნული ფესტივალის მთავარი მიზანია, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან წარმოაჩინოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ღვინისა და მეღვინეობის კულტურასა და ტრადიციებს ფილმებით და აუდიო ვიზუალური შესაძლებლობებით, მათ შორის იმართება ღვინის კულტურასთან დაკავშირებული არაკომერციული დოკუმენტური ფილმების ჩვენებები.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, 3 ნოემბერს, ფესტივალის ოფიციალური გახსნითი ნაწილი ქართული ხალხური სიმღერების თანმხლებით მიმდინარეობდა, რომელიც ქართულ- ესპანურმა ანსამბლმა „ვოკალ ვირკანმა“ შაესრულა. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა ქ. ბარსელონაში გენერალური კონსული, ალექსანდრე ჭკუასელი. მან მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს და უძველესი კულტურის მქონე ქვეყანას, რომელსაც ღვინის დამზადების უნიკალური მეთოდი და ტრადიცია გააჩნია.



ქ. ვილაფრანკა დელ პენედესის ცენტრალურ მოედანზე, გენერალური საკონსულოს, მერიისა და ღონისძიების ორგანიზატორების მხარდაჭერით აღიმართა ქართული კუთხე/სტენდები, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებს საშუალება მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და ღვინო, რომელიც წარმოადგინა ბარსელონაში მოქმედმა ქართულმა რესტორნებმა „GABI“ და „IBERIA“.

მიმდინარეობდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ვიდეო რგოლები, ასევე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ბუკლეტები საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩინების შესახებ.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს დაესწრო ქალაქის მერიისა და საკრებულოს წევრები, ბარსელონაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ადგილობრივები და ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს სრული შემადგენლობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველოსა და ესპანეთის ენოტურიზმის ასოციაციის წევრები, ასევე ენოტურიზმის სკოლის ქართველი სტუდენტები.

ანსამბლმა „სიხარული“ მონაწილეობა მიიღო გალა-კონცერტში

7 ნოემბერს, ქ. სანქტ-პეტერბურგში, დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ტრადიციული გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯანო ლიპარტელიანის სახელობის ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სიხარული“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია სოფიკო ლიპარტელიანი.

კონცერტზე ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ქართული ცეკვები წარადგინა.

ქ. ათენში მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“ წარადგინა

25-26 ნოემბერს ათენს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „კულტურული ღონისძიებები საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლებისათვის" ფარგლებში, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სპექტაკლით „რწყილი და ჭიანჭველა“ ეწვია. ამავე პროექტის ფარგლებში ათენში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრი, პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ქეთევან დუმბაძე და მსახიობი ია შუღლიაშვილი. პროექტს ათენში უმასპინძლა „ქართულ-ბერძნულმა კულტურულმა ასოციაციამ“.

ღონისძიება, მოსხატოს კულტურის ცენტრში, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს აქტიური მხარდაჭერით ჩატარდა. საღამოს ესწრებოდნენ ათენის დავით გურამიშვილის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის, ვახტანგ მეექვსის სახელობის საკვირაო სკოლის, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზის“, ქართულ ბერძნული კულტურული და საზოგადოებრივი ურთიერობების ცენტრ „პეგასი მერანი“-ის, ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაცია „დიონისეს“, ქორეოგრაფიული სტუდიების „კავკასია“ და „ივერიელები“, აღსაზრდელები, მშობლები, პედაგოგები და საქართველოს საელჩოს თანამშრომლები.

სპექტაკლის „შერეკილები - მიუზიკლი არაფერზე“ ჩვენება ნიუ-იორკში

26 და 27 ნოემბერს, ქალაქ ნიუ-იორკში მოქმედი ქართული კულტურის ცენტრის - „Dancing Crane“ ორგანიზებით, ნიუ-იორკის ქართული თეატრის ახალგაზრდული დასის სპექტაკლის „შერეკილები - მიუზიკლი არაფერზე“ ჩვენება გაიმართა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ქართული კულტურის ცენტრის ერთ-ერთ ხელმძღვანელი ლიკა სირელსონი, ქორეოგრაფი -ანი გადელია, მუსიკალური ხელმძღვანელი - გიორგი შაუთიძე, კოსტუმების მხატვარი - გვანცა ზაკალაშვილი, პუბლიკაციის დიზაინი ეკუთვნით ნაირა ნადარეიშვილს და ნია ტოპრაკაშვილს.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

მისამართი:
ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

ელ-ფოსტა: diaspora@mfa.gov.ge

www.mfa.gov.ge

www.gda.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO